

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

9 თებერვალი 2021 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, თამთა დვალიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმა. (იანვარი-სექტემბერი)

მომხს: ტარიელ ბარამიძე.

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2021 წლის სამუშაო გეგმა. კერძოდ;

1. კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი-თებერვალი);
2. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (თებერვალი-მარტი);
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ანგარიშის მოსმენა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე (მარტი-მაისი);
5. 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა (წლის განმავლობაში);

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა (აპრილი, ივლისი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (აპრილი, ივლისი);
8. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ; (ივლისი-აგვისტო)
9. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა. (ივლისი-აგვისტო)
10. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, სექტემბერი)

კომისიის წევრებმა მოიწონეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე